საქართველოს მთავრობის

დადგენილება

№565 2016 წლის 23 დეკემბერი ქ. თბილისი

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/01/2016, 470230000.10.003.019065) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 60 000 ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის სახელმწიფო პროგრამა	თანხა ლარებით
სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად გაცემული დასკვნის გამოსავლენად, სამედიცინო გადამოწმების მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გამოკვლევა მიმწოდებლის მიერ	34 000
სამივლინებო ხარჯები	26 000
სულ:	60 000

“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**